

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, შანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ღირებულება: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ზსი განცხადებების დარიცხვები: ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკლოთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქციის უფლება აქვს გაასწავროს და შეამოკლოს დასაბუთდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბუქდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

მოგაგვალ 1878 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმგვარივე პროგრამით და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

მოგაგვალ წელსაც „დროება“ გუდავ დღე გამოვა,
გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ხელის-მოწერა

თ ფ ი ლ ი ს შ ი — „მიიღება დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (შანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

ბ ა რ ე შ ე მ ც ხ ვ რ ე ბ თ ა მ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. Въ Редакцію „Дроѳна“.

ზსი გაზეთისა

| | | |
|------------------------|--------|--------|
| მთელის წლისა | 8 მან. | „ კაპ. |
| მქესის თვისა | 4 „ | 50 „ |
| მთხის თვისა | 3 „ | „ „ |

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება მომავლის წლიდამ გაზეთის დაბარება. უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხმადრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ თავის აგენტის საშუალებით, ისე რედაქცია უფ უ ლ ო თ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

რედაქციისაგან

თუმჯა რამდენჯერმე გამოვაცხადეთ რომ გაზეთი ამ თავითვე ფულის შემოუტანელად არავის გაეგზავნება-მეთქი, მაგრამ ამ დღეებში მაინც კიდევ რამდენიმე პირისაგან მივიღეთ მოთხოვნა, რომ უმორჩილესად გთხოვთ მოზავეალი წლისთვის „დროება“ გამოგვიგზავნეთო და ფულს თავის დროს მიიღებთო.

ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ ამ ცალკე განცხადებით ვაცნობთ ყველას, რომ, თუ არ აგენტების საშუალებით, ისე მომავლის წლის გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.

უმორჩილესად გთხოვთ იმ ჩვენს აგენტებსა და ხელის-მომწერლებს, რომელთაც წლებმდელი გაზეთის ანგარიში დღემდინ არა აქვთ გასწორებული, რაც შეიძლება მალე გაასწორონ და ხვედრი ფული გამოგზავნონ.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდავ

ბოგოტი, 1 დეკემბერს. (მუტიციალური). 29 ნოემბერს სამხრეთის მხრით გაგზავნილი იყო ჩვენი ჯარები ოსმალთს პოზიციების დასათვლიერებლად.

მართა ამ დამთვლიერებელ ჩვენმა ატრიადმა აღმოაჩინა, როგორც ამას წინათაც იყო მოხსენებული, რომ მ. მალთა ჯარი მდინარე ლომზე გადადის; ამის გამო ჩვენმა მე-12 კორპუსმა საომრად მზადება დაიწყო.

მეორე ატრიადი ამურკიოისა და შარაგაჩისაკენ იყო გაგზავნილი; ამ ატრიადს, რომელიც 13 როტისაგან იყო შემდგარი, შეტაკება მოუხდა მტერთან. ღენ. ბარშკოვი შეხვდა მტრის 14 ტაბორს; ძასავინთან დამალა ჯარები და თვითონ ნახევარი ატრიადით მიადგა ოსმალთს ჯარს; ცოტა ხნისსროლის შემდეგ, უკან დაიწია და როცა ოსმალთები გამოუდგნენ, დამალული ჩვენი ჯარები დაუხვდნენ და ამურკიოიმდინ განდევნეს ისინი.

2,000 კაცი დასტოვა აქ მტერმა ბრძოლის ველზე და გზაზე. ჩვენის მხრით მოკლულია: 34 სალდათი და 220 დაჭრილი გყავს.

ტრესტენიკთან და მეჩკასთან რომ 30 ნოემბერს შეტაკება გეჭონდა, ამ ბრძოლაში ჩვენი ზარალი ჯერ სრულიად არ არის ცნობაში მოყვანილი, მაგრამ დაახლოებით ეს ზარალი უნდა იყოს შემდეგი: 25 აფიცურია დაჭრილი და მოკლული; სალდათები—600. ოსმალთებს კი დიდი ზარალი მიეცათ, განსაკუთრებით მდ. ლომზე გადასვლის დროს; 600 იმათი დახოცილი სალდათი აუკრიფეთ ჩვენ ბრძოლის ველზე და ჯერ კიდევ ბევრი არიან. ტყვედ 150 სალდათი და აფიცური ავიყვანეთ.

შურყევილამ რუსჩუკისაკენ ნასროლ ჩვენმა ყუმბარებმა გააფუჭეს 1 დეკემბერს ერთი ზარბაზანი და ერთიც ბატარეია.

30 ნოემბერს ზლატიცთან დაბანაკებულ ჩვენს ჯარს სოჭიილამ და შტროპოლიდამ მოაწუნენ ოსმალთები, რომელთაც 3,000 ახალი ჯარები მოუვიდათ. დილიდამ სალამოდინ სროლა არ შეწყვეტილა, რამდენიმეჯერ იერიშით მოსული ოსმალთები უკუ-ვაქციეთ. მაგრამ რადგან დაღამებისას იმათ დაიჭირეს მთები, რომლიდამაც ჩვენს პოზიციებს დასიერებოდნენ, ამის გამო ჩვენები იძულებული შეიქნენ, რომ ეს თავის პოზიციები მიეტოვებინათ. რაც ამ ბრძოლაში ზარალი მოგვეცა ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი, მაგრამ ბევრი არ უნდა იყოს.

სხვა ჩვენი ჯარები ისევ თავის ძველს პოზიციებზე დგანან არაბ-მონაღის პირდა-პირ.

ოსმალთები კი ამაგრებენ თავის პოზიციებს; იმათ ახალი ჯარები მოსდისთ სოჭიილამ.

დღეს, 2 დეკემბერს, ოსმალთს ჯარმა დასწვა ქალაქი მლენა და გამოვიდა იქილამ. ჩვენი მოწინავე ჯარი წავიდა ამ ქალაქის დასაჭერად.

პარიში, 1 დეკემბერს. ახალი სამინისტრო დიუჭორმა შეადგინა მარცხენა ცენტრის (ზომიერი) რესპუბლიკელებისაგან. თვითონ დიუჭორი შინაგან საქმეთა მინისტრად და სამინისტროს თავმჯდომარედ იქნება.



ქვეყნის მთის გზამ დაგვიწყო ლა-
ლატი: ეს ორი დღეა, რაც ჩვენს ქა-
ლაქში არც სამზღვარ-გარეთისა და არც
რუსეთის ფორტა არ მოსულა. ამის
გამო მაგვიტყვეთ, თუ ამ ნომერში
ახალი ამბები ბლომათ ვერ ნახოთ.

რედ.

ოქის აზვები

აზიის ბრძოლის ველიდა

ბუშნის მოსულმა ფორტამ მოგვი-
ტანა შემდეგი ამბები:

„პეტერბურლის უწყებებში“ დაბეჭ-
და ეს დეკემბერს 25 ნომერის არტა-
ნიდამ მიღებული:

„არტანის ატრიადს ბრძანება მოუ-
ვიდა, რომ სალაშქროდ მოემზადოს. ეს
ატრიადი ჩოროხის ხეობასაკენ უნდა
გაემგზავროს და ბათუმის აღებაში უნდა
მიიღოს მონაწილეობა.“

მთხ ნემეცურს გაზეთს „Presse“-ში
დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა 25
ნომერის ძოსტანტინოპოლიდამ მიღე-
ბული:

„შაბის შერიფის ძა რალაც მძიმე
მინდობილობის აღსასრულდებლად გაგ-
ზაენა ხონთქარმა ინდოეთში უკაურს
მაჰმადიანებთან.“

მა „მძიმე მინდობილობა“, უეჭველია,
იმაში მდგომარეობს, რომ ინდოეთის
მაჰმადიანებმა ხელი უნდა მიუწყოს
რუსულ ძალებს ამ ომში, თუ მაჰმადის მწვა-
ნე ბაირაღს გაშლა დასჭირდა.

გერმანიის ბრძოლის ველიდა

რეგორც ოფიციალურმა დეპეშამ
გვაცნობა მარენთან და მლენესთან რუ-
ხის ჯარების დამარცხების შემდეგ, სუ-
ლიეზან-ფაშის არმია თითქმის ტირნო-
ვოს მიაღწა და ამ ქალაქის აღებას ემუ-
ქრებოდა.

ბუნარესტიდამ 25 ნომერის მიღე-
ბული დეპეშა გვაცნობებს ახლა, რომ
რუსებმა მიიღეს ყოველ-გვარი ზომა და
ამნაირად ტირნოვოს სულეიმან-ფაშის
არმიისაგან ამ ქალაქში არა აქვსო.

სერბიის ჯარები 26 ნომერის გადა-
სულა სამზღვარზე; მაგრამ ამ დროს
ინგლისიდან რალაც დეპეშები მოსვლია
სერბიის მთავარს მილანს და იმას თა-
ვის მხრით უბრძანებია ლაშქარში წა-
სულ ჯარებისათვის, რომ დროებით,
სანამ ახალი მოწერილობა არ მოგვი-
დეთ, საცა დგებართ, იქვე გაჩერდითო.

საქართველო

გორის სამასწავლებლო ინსტიტუტს

„თფილისის მოამბის“ 265 ნომერ-
ში დაბეჭდილია გრძელი პასუხი იმ კორ-
რესპონდენციებზე და შენიშვნებზე,
რომელიც ჩვენს გაზეთში და აგრეთვე
„თფ მოამბეში“ იბეჭდებოდა ზემოხსენ-
ებულის ინსტიტუტის შესახებ.

თუმცა ამ პასუხის დამწერნი მედიდუ-
რად გვეუბნებიან, რომ დღეის შემდეგ
რაც უნდა დასწეროთ, ჩვენგან სიტყვის
ამოღებას ნულარ მოვლითო, მაგრამ,
მივიღებთ რა მხედველობაში იმ უბრა-
ლო გარემოებას, რომ ყველაფერი, რაც
იწერება გაზეთში, იწერება საზოგადოე-
ბისთვის და არა კერძო პირებისთვის,
ორიოდე სიტყვას ვიტყვი ამ საგანზე.

იმის დასამტკიცებლად, რომ გორის
სამასწავლებლო ინსტიტუტში პანსიონე-
რებს საამელ-საქმელი საქმათააქეთო,
ჩვენი მოპასუხენი ამბობენ; თუ ყმაწვი-
ლები მშვიდები იყვნენ, მაშინ ისინი,
უეჭველია, ავთ იქნებოდნენ და ასეთი
ჯანმთელი და მხიარული სახე არ ექნე-
ბოდათ, როგორც ახლა აქეთო. ამას
გარდა გვეუბნებიან კიდევ, რომ თუ
იმათ ნაკლებათ ჰქონდეთ საქმელი, უე-
ჭველია, რომ პირველად ჩვენ, ინსტიტუ-
ტის მთავრობას შემოგვიჩვენებდნენო,
ჩვენ გვეტყოდნენო და არა გარეშე პი-
რებსაო.

როგორ მოგწონთ ამისთანა საბუთე-
ბი? ჯერ პირველად ეს, რომ მშვიდრიც
არის და მშვიდრიც; ვინც ორი-სამი დღის
განმავლობაში არაფერსა სჭამს, ისიც
მშვიდია და ვინც მუდამ დღე სჭამს, მა-
გრამ ცუდ საქმელსა და ნაკლებად, ისიც
მშვიდია. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობდით
და ვამბობთ, რომ გორის ინსტიტუტში
ნაკლებათ აქვეყნ საქმელს-მეთქი, და
რათ გაგიკვირდებათ, რომ სოფლიდამ
ჩამოსულ ჯანმთელმა ყმაწვილმა აიტა-
ნოს საქმლის ნაკლებობა და იმ წამსვე
არ დასწულდეს!

მე მყავდა ერთი ნაცნობი, რომელიც
ოთხი წლის განმავლობაში თითქმის
მარტო ჩაითა, პურიო და საძაგელი, თი-
თქმის დამპალი ხორციო ჩიბოდა. ეს
ყმაწვილი კაცი მეხუთე წელს გახდა
ავთ და იმდენათ დასუსტებული ჰქონ-
და ჯანი, რომ უბრალო ავთმყოფობა
ვერ აიტანა და მოკვდა.

რატომ ჩვენ, მასწავლებლებს და მთა-
ვრობას არ გვეუბნებიანო! ბუბნებიან,
ბატონებო, გითხრეს კიდევ; მაგრამ რად-
გან თქვენ ყურადღებას არ აქცევთ ამ გვარ
ჩივილს და უწყრებით კიდევ, ვინც ამას

გვეუბნებთ, თავი დაანებებს და სხვებს
შესჩივლებენ ხოლმე. მაგრამ ეს ყველა სიტყვის მასალებად
არის მოყვანილი ხსენებულს პასუხში;
უმთავრესი დამტკიცება იმისა, რომ გო-
რის შავირდებს კარგათ არჩენენ, არის
შემდეგი სია იმათი საქმელებისა:

„გორის ინსტიტუტის შავირდებს სადილად
ორ თვე საქმელს აძლევენ; მუდამ დღე აქეთ: ბორს-
ში ანუ სუფი, მერე ან კატლეთი, ან ფლაფი,
ან ქაშა, ან შემწვარი ხორცი და ან ლობიო
და სხვ. ამ გვარები.“

ამას თვითონ ამბობენ. მაშ შემდეგ
ბა იმისთანა ერთი დღე ანუ რამდენიმე
დღე გამოერიოს კვირაში, როდესაც შა-
ვირდებს უხარცო ბორსს ან სუფს
მოუტანენ და მერე ფლაფს, ლობიოს
ანუ ქაშას. მითხარით ერთი ამისთანა
სადილი საკმაოა ახალ-მოზარდ ყმაწვი-
ლებისათვის? რასაკვირველია, მთელი
კაცობრიობის სამი-მეოთხედი მუდამ
დღე ცარიელ პურზე, კართოფილზე და
სხვა ამ გვარ საქმელებზე გადადის; მა-
გრამ ვანა თითქმის, რომ ეს სამი-მეო-
თხედი კაცობრიობისა კარგათ რჩება,
კარგათ ცხოვრობსო?

ამ ინსტიტუტიდამ ისეთი პირები გა-
მოდიანო, ამბობენ გორის პედაგოგები,
რომელნიც შემდეგ სოფლის მასწავლე-
ბლებად იქნებიან დანიშნულნიო, და
ამის გამო საქმელების გამოჩინებას და
განცხრობით (?) ცხოვრებას ამ თავითვე
არ უნდა შეეჩვიონო, თორემ შემდეგ
სოფელში ვერ იშოვნებანო!

ვინ თხოულობს, ვინ გაბედავს, ბა-
ტონებო, ათას გვარ კერძის მირთმევესა
და განცხრობით ცხოვრებას? საკმაოთ
გვაქამეთო და რიგინი საქმელებიო, —
მხოლოდ ამას თხოულობენ; თუმცა
მართალია, ახლა სიძვარეა, მაგრამ ამის
ასრულება კეთილ-სინიდიანი მეოჯახეს
ყოველთვის შეუძლიან, როდესაც თი-
თო სულზე წელიწადში ათიო თუმანია
სარჩინად დანიშნული.

მაგრამ ამ ბრძნულს პასუხში ყველა-
ზე უფრო სასაცილოთ და გაუგებრად
ჩვენ ის მიგვაჩნია, რომ ამ პასუხზე,
თვითონ ინსტიტუტის დირექტორს გარ-
და, ხელს აწერენ შემდეგი პირნი: მართლ-
მადიდებელი სარწმუნოების სამღეთო
წერილის მასწავლებელი მამა პ. ტური-
აშვილი, სოხის სარწმუნოების სამღეთო
წერილის მასწავლებელი დეკანოზი ტერ-
სტეფანოვი, საგნების მასწავლებელი:
სოკოლოვი და იზიაკინი, მოსამზადე-
ბელიკლასის მასწავლებელი პ. ილიჩ-
კო და სემინარიის პირველ-დაწყებით
სასწავლებლის ქართული ენის მასწავ-
ლებელი უ. ნათიევი!

ვინ თქვენ, მამანო სამღეთო წერი-

ლის მასწავლებელნი, ვინ თქვენ, საგნების და ენების მასწავლებელნი, და ვინ ინსტიტუტის სამზარეულო? თქვენ, რომელთა მოვალეობას მხოლოდ ის შეადგენს, რომ დანიშნულ საათზე შეხვიდეთ კლასში, ასწავლოთ თქვენი სამღებრო წიგნები, თქვენი არითმეტიკა, თქვენი ქართული ანუ რუსული ენა, საიღამი იცით—როგორ არჩენენ ყმაწვილს, რა იცით თქვენ იმათი სტრამაქის მდგომარეობა? თქვენ ვინა გკითხავენ? რა თქვენი საქმეა? ს. მ.

დღიური

* * * ნამდვილი ზამთარი დადგა ჩვენს ქალაქში. შა სამი დღეა ცოტ-ცოტათი თოვლს და ზამთრულად ცივა. ჩვენს გახურებულ ქალაქში თოვლი, რასაკვირველია, ფენს ვერ მოიღვამს და დიდხანს ვერ გასძლებს; მაგრამ გარშემო მთები კი სულ გადათეთრებული.

* * * თფილისის მოამბეში იწერებინან, რომ ძიევიდამ, მარშავიდამ და მდგისი-დამ რამდენიმე ურთა ჩამოვიდნენ და განზრახვა აქვთ, რომ ტყით ვაჭრობა დაიწყონ: მუთაისსა და შოთს შუა მოაგროვებენ ტყეს და იქ ივაჭრებენო.

თუ ეს ამბავი მართალია, ჩვენ ვაფრთხილებთ ჩვენ ტყის პატრონებს, რომ ამ მდგისისა და ძიევის ურიებს ნუ ენდობიან, თორემ ბოლოს ინანებენ.

შეჰველია, ამ გარემოებას მმართველობაც მიაქცევს ყურადღებას და არავის ნებას არ მისცემს, თუნდაც დიდ ფასათაც, რომ დაუზოგავად აკრას სახელმწიფო ტყეები და მით მთელს ქვეყანას აენოს.

* * * მკობრიდამ გვწერენ, რომ პლევნოს აღება იქაც კი უდღესასწაულებიათ. ადგილობრივი პრისტავს მოუწვევია ახლომანლო სოფლებიდან ხალხი, მისულან სამხედრო კაცებიც ეკლესიაზე და ამნაირად პარაკლისი გადაუხდიათ. ზარბაზნებიდამაც კი უსვრიათ.

„ზღესები ერთმანეთს ულოცავდნენო, გვწერს კორრესპონდენტი; მაგრამ რას ულოცავდნენ, ის კი არ იცოდნენო.“

* * * ჩვენ მივიღეთ პატარა შენიშვნა თელავიდან, რომლის ავტორიც გვაცნობებს, რომ ერთ იქაურ სომხის ტერტერას ამას წინათ შვილი გაუხდა ავათაო, და, დოქტორის მოხმობის მაგიერ, მკითხავს მიმართაო; იმის რჩევით აწირვინა, აბაზი გადაიხადა და როცა მკითხავისაგან შინ დაბრუნდა, ავათმყოფი ყმაწვილი ხელში შემოაკვდა და ახე გულზე მიკრული მიცვალებული ჩამოიტანა შინაო.

„შურადღების ღირსი ამ გარემოებაში

ის არისო, გვწერს ჩვენი თელაველი კორრესპონდენტი, რომ ეს ტერ-ტერა აქაურ სასწავლებელში საშღეთო წერილისა და ქრისტომატიის მასწავლებლად არის გამწესებულიო და რაღა თქმა უნდაო, თავის ცრუ-მორწმუნებას ის, უეჭველია, ნორჩ მოწაფეებსაც გადასცემსო.“

* * * ჩვენ ვითხრეს, რომ მეჯვრის-ხევის სასაფლო შკოლა, რომელშიაც ათი თუ თუთხმეტი ყმაწვილისათვის პანსიონიც არის გამართული და რომლის ასაშენებელად სოფ. მეჯვრის-ხევმა და ორმა თუ სამმა სხვა სოფელმა შარშანწინ 3,000 მანეთამდინ დახარჯეს, ახლა, როგორც შორის არხიტექტორმა დაამტკიცა, ამ შკოლის შენობა სრულებით უფარგისი არისო, უნდა დაიქცესო და ამის გამო შეაგირდები იმაში აღარ უნდა დაიარებოდნენო.

შორის უეზდის უფროსის პირ-და-პირი მოვალეობაა, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, რადგან ამ შკოლის შენობა იმის თაოსნობით არის აშენებული...

„ღ რ ო მ ბ ა“ კორრესპონდენცია

მუთაისი, 30 გორგობისთვის. შა არის ჩვენი ქალაქის რჩევის სხდომიდან დავბრუნდი და მინდა ორიოდ სიტყვით გარდმოგცეთ ამ სხდომის ანგარიში.

დღევანდელ სხდომაზე იყო ხმოვანებისაგან განსარჩევლად და განსახილველად შემდეგი საგნები:

ა) ზამგეობის (შპრავის) ერთი წევრის ამორჩევა, იმ წევრის მაგიერად, რომელიც სამოქალაქო წესდების ძალით, დღეს წილის-ყრით უნდა გამოსულიყო;

ბ) ამორჩევა ღუმის სეკრეტრისა, რადგან ახლანდელს 4-ს მომავალ დეკემბერს ვადა გაუდის (ორი წლით იყო ამორჩეული 1875 წ., 4-ს დეკემბერს) და

გ) შპრავის წევრებისათვის ერთი კანდიდატის ამორჩევა.

მოგვხსენებათ, რომ მუთაისის უპრავაში ორი წევრი იყო; ერთი იმათგანი უფ. ი. ჯაიანი დღევანდლამდინ დარჩა და მეორემ—თ. ანტ. ლორთქიფანიძემ წელს მიატოვა სამსახური. ამ წევრებს ორი კანდიდატი ჰყვანდათ—უ. უ. ბ. ხელთუფლიშვილი და სტ. აკოფაშვილი. შპრავის წევრის ანტონ ლორთქიფანიძის გამოსულის შემდეგ, მოიწვიეს კანდიდატი უფ. ბეს. ხელთუფლიშვილი, რომელიც დღევანდლამდინ ასრულებდა წევრის თანამდებობას და, რადგან მას დღევანდელი სხდომის წი-

ლის-ყრით, მომავალი ორი წლის წევრობა შეენდა, ამისათვის მისი მაგიერი კანდიდატი უნდა არჩეულიყო.

თუმც წინანდელ სხდომებზე ხმოვანების რიცხვი ერთობ მცირედი იყო, წარმოადგინეთ იმისთანა სხდომაზედაც კი, რომელზედაც მომავალი წლის ზოგადი ირჩეოდა, მაგრამ ამ სხდომაში 43-მდე ხმოვანი მიიზიდა. შარემე მაყურებელი საზოგადოებაც სამყოფათ იყო, თუმც წინანდელ სხდომებზე ორიოდ კაციც არ მინახავს. ჩვენ ქალებსაც და კაცებსაც ძრიელ გვიყვარს კენჭის ტრიალის ყურება.

მეცხრეს ნახევარი იქნებოდა სხდომა რომ გაიხსნა. წარსული სხდომის განაჩენების წაკითხვის შემდეგ, ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელმა თ. ნ. აბაშიძემ, განაცხადა, რომ დღეს შპრავის წევრებთ შორის წილის-ყრა უნდა მოხდესო.

ღუმის გარდაწყვეტილებით, იქვე ჰყარეს წილი, რომლითაც შპრავის წევრობიდან გამოსვლა უ. ი. ჯაიანს ხედა.

ამის მაგიერი იმ სხდომაზედვე უნდა ამორჩეულიყო. ძანდიდატებათ წარმოადგინეს: ისევ უფ. ი. ჯაიანი, თ. ლ. თუმანოვი და თ. მ. ნიჯარაძე. ამ უკანასკნელებმა ორთავემ უარი განაცხადეს, ასე რომ კენჭი უპრავის წევრობაზე ისევ უ. ჯაიანისათვის უნდა ეყარათ. უყარეს კენჭი და აირჩიეს 34 თეთრით—7 შავი ხმის. წინააღმდეგ, შპრავის წევრის კანდიდატათ აირჩიეს უფ. ი. მესხი 30 თეთრით 10 შავი ხმის წინააღმდეგ.—ღუმის სეკრეტრათ ამორჩიეს უ. ნიკ. ძანდელაკი, (მუთაისის პოლიციის პისმოვოდიტელი), რომელსაც 38 თეთრი ამოუვიდა და 3 შავი.

ამორჩევები მუთაისში, მარშლის თაობაზედ იყოს, თუ ბანკის, უხიფათოთ და უშფოთოთ არასოდეს არ გათავებულა. სოტა აკლდა ამ ამორჩევებზედაც კინალამ მოხდა ხიფათი, წმინდა იმერული, უმიზნო და უთავბოლო პარტიული; მაგრამ ამაზედ შემდეგ ვიტყვი; აქ დავსძენ მხოლოდ იმას, რომ ის კაცები, რომელნიც—ამ ახალი საქმისაც, როგორც ქალაქის თვით-მმართველობაა, უთავბოლო პარტიობითაც წაბილწვას უპირებენ, ძრიელ წინ-დაუხედავათ და უკადრისათ ირჯებიან. შარტო თავისიანებში ბუტ-ბუტი და საქმის რიგება, სასარგებლო საქმის შესახებ, არავის არ გამოადგება, რადგან ამ გვარი ქცევა ყოველი პატიოსანი კაცისათვის შეუფერებელია. საზოგადო საქმეს საზოგადო რჩევა და საზოგადოთ, საქვეყნოთ, აშკარად თავისი ჰაზრის გამოთქმა სჭირია..

